

## საქართველოს კანონი

### საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში დამატებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსს (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 1999 წ., №6) დაემატოს შემდეგი შინაარსის VII<sup>5</sup> თავი:

“თავი VII<sup>5</sup>. ადმინისტრაციული სამართალწარმოება საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის გადამხდელის ქონებაზე ყადაღის დადების და ყადაღადადებული ქონების რეალიზაციასთან დაკავშირებით

მუხლი 21<sup>21</sup>. მოსამართლის ბრძანება გადასახადის გადამხდელის ქონებაზე ყადაღის დადების და ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის თაობაზე

1. ბრძანებას, გადასახადის გადამხდელის ქონებაზე ყადაღის დადების და ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის თაობაზე, საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე გამოსცემს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე გადასახადის გადამხდელის ადგილსამყოფელის მიხედვით.

2. გადასახადის გადამხდელის ქონებაზე ყადაღის დადების და ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის თაობაზე, მოსამართლე გამოსცემს ერთ ბრძანებას, გარდა ამ მუხლის მე-3 ნაწილში მოცემული შემთხვევებისა.

3. იმ შემთხვევაში, თუ გასახადის გადამხდელის ქონებაზე ყადაღის დადება განხორციელებულია საგადასახადო კოდექსის 143-ე მუხლის პირველი ნაწილის ან 150-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, საგადასახადო ორგანოს შესაბამისი შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლო ღებულობს გადაწყვეტილებას მხოლოდ ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის თაობაზე.

მუხლი 21<sup>22</sup>. საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობა

საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობაში მიეთითება გადასახადის გადამხდელის ზუსტი მონაცემები. იგი უნდა შეიცავდეს დასაბუთებას იმის თაობაზე, რომ საგადასახადო დავალიანება აღიარებულია.

მუხლი 21<sup>23</sup>. გადასახადის გადამხდელის ქონებაზე ყადაღის დადების და რეალიზაციის საკითხის გადაწყვეტის წესი

1. მოსამართლე გადაწყვეტილებას საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე იღებს შუამდგომლობის წარდგენიდან 72 საათის განმავლობაში.

2. მოსამართლე საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობას განიხილავს ერთპიროვნულად. სასამართლო სხდომაზე მონაწილეობენ საგადასახადო ორგანოს წარმომადგენელი და ის გადასახადის გადამხდელი ან მისი წარმომადგენელი, რომლის ქონების დაყადაღების და რეალიზაციის შესახებ ბრძანების გამოცემასაც ითხოვს საგადასახადო ორგანო (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ვერ ხერხდება მხარეთა მოწვევა).

3. მხარეთა გამოუცხადებლობა ან მათი მოწვევის შეუძლებლობა არ იწვევს შუამდგომლობის განხილვის გადადებას.

4. შუამდგომლობის დასაბუთებულობის შემოწმების შემდეგ მოსამართლე გამოსცემს ბრძანებას გადასახადის გადამხდელის ქონებაზე ყადაღის დადებისა და

ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის დაკმაყოფილების ან არდაკმაყოფილების შესახებ, რომელშიც აღინიშნება:

ა) ბრძანების შედგენის თარიღი და ადგილი;

ბ) მოსამართლის გვარი;

გ) საგადასახადო ორგანო, რომელმაც შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს;

დ) საგადასახადო ორგანო, რომელიც უფლებამოსილია შეასრულოს ბრძანება;

ე) განკარგულება გადასახადის გადამხდელის ქონებაზე ყადაღის დადების და აუქციონზე რეალიზაციის დაკმაყოფილების ან არდაკმაყოფილების შესახებ;

ვ) მოსამართლის ხელმოწერა და სასამართლოს ბეჭედი.

5. მოსამართლის ბრძანება დგება სამ ცალად. ერთი ეგზავნება შუამდგომლობის წარმდგენ საგადასახადო ორგანოს, მეორე – გადასახადის გადამხდელს, ხოლო მესამე რჩება სასამართლოში.

6. მოსამართლის ბრძანება ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის ნაწილში ძალაში შედის ბრძანების გასაჩივრების ვადის ამოწურვის შემდეგ. ბრძანების გასაჩივრება აჩერებს ბრძანების მოქმედებას მხოლოდ ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის ნაწილში.

7. საჩივარი მოსამართლის ბრძანების გაუქმების თაობაზე შეიტანება ბრძანების გამომცემ სასამართლოში მხარისათვის ბრძანების ასლის გადაცემიდან 48 საათში. მოსამართლე საჩივარს საქმის მასალებთან ერთად დაუყოვნებლივ უგზავნის სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს.

8. საჩივარი სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში განიხილება არსებითად, საჩივრის შეტანიდან 72 საათის განმავლობაში.

9. სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს ბრძანება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.“.

მუხლი 2. გარდამავალი დებულებები

ამ კანონის ამოქმედებამდე ყადაღადადებული ქონების რეალიზაცია ხორციელდება სასამართლო ბრძანების საფუძველზე ამ კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 3. კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი